



2017 წელი

სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ „სპექტრი“-ს SWOT ანალიზი

1. ორგანიზაციის ძლიერი მხარე:

კვალიფიციური მასწავლებლები

კოლეჯის 59 მასწავლებლიდან 55 არის უმაღლესი განათლებით (მათ შორის 4 სამეცნიერო ხარისხით), რომელთა უმეტესობას დამატებით აქვს პროფესიულ განათლებაში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება, ასევე პროფესიული საქმიანობის პრაქტიკული (დარგობრივი ცოდნა და უნარები) გამოცდილება. ასევე, კოლეჯის მასწავლებლებს კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების კუთხით მიღებული აქვთ მონაწილეობა საერთაშორისო და ადგილობრივი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ფართი

კოლეჯს ამჟამად გააჩნია სტანდარტების შესაბამისად აღჭურვილი 23 კაბინეტ-ლაბორატორია, 12 სასწავლო სახელოსნო, 3 ინოვაციური ტექნოლოგიების ლაბორატორია (FABLAB), ბიბლიოთეკა 128 438 წიგნით, ღია სპორტული მოედანი, საკონფერენციო დარბაზი, კაფეტერია, პირველადი სამედიცინო დახმარების პუნქტი და ავტოდრომი. ასევე მიმდინარეობს არსებული საერთო საცხოვრებლის - კამპუსის (საერთო ფართით 2920 მ²) რეაბილიტაცია.

ადმინისტრირება

კოლეჯის დირექციის და ადმინისტრაციის წარმომადგენლების უმეტესი ნაწილი არის უმაღლესი განათლებით (დირექცია - 2, ადმინისტრაცია -18- დან 19 უმაღლესი განათლებით), ასევე, მათ უმეტეს ნაწილს გააჩნია პროფესიულ განათლებაში მოღვაწეობის მრავალწლიანი გამოცდილება, რაც კოლეჯს საშუალებას აძლევს მოახდინოს ეფექტური ადმინისტრირება.

საბიბლიოთეკო ფონდი

კოლეჯს გააჩნია 3411 ერთეული სპეც. ლიტერატურა, მათგან უმეტესი ქართულ ენაზე გამოცემული თანამედროვე ტექნიკური სასწავლო ლიტერატურა.

საგანმანათლებლო პროგრამები

კოლეჯში შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამების/სილაბუსების ძირითადი ნაწილი შედგენილია დამსაქმებლების უშუალო ჩართულობით.

დამსაქმებლებთან თანამშრომლობა

დამსაქმებლებთან თანამშრომლობის გამართული სქემები (60-ზე მეტი პარტნიორი კერძო და სახელმწიფო კომპანია) შესაძლებლობას უქმნის კოლეჯს გაზარდოს კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი და გააუმჯობესოს სერვისი. ასევე, კოლეჯი მდებარეობს საწარმოო რაიონში სადაც განთავსებულია 17 სხვადასხვა ზომისა და მიმართულების საწარმო, რაც კოლეჯს საშუალებას აძლევს უკეთესად გაერკვეს დამსაქმებლებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნებში.

კონკურენტების სიმცირე

ქვეყნის მასშტაბით მსგავსი მიმართულებების (ინჟინერიის მიმართულება) პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებები არის მხოლოდ სამი, აქედან ერთი განთავსებულია თბილისში - კოლეჯი „მერმისი“ და მეორე ქობულეთში - კოლეჯი „ახალი ტალღა“. ასევე, ამ ეტაპისათვის, აღნიშნულ რაიონში კოლეჯი „სპექტრი“ არის ერთადერთი პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი სასწავლებელი, რის გამოც კოლეჯს, დღეის მდგომარეობით, არ ჰყავს არსებულ ბაზარზე ანგარიშგასაწევი კონკურენტები, რაც ზრდის ბენეფიციარების, ასევე, დამატებითი ფინანსური და ადამიანური რესურსების მოზიდვის ალბათობას. თუმცა, გრძელვადიან პერსპექტივაში, ამან შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს კოლეჯის განვითარებაზე.

საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა

კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობს ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, კერძოდ: „გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება“ (GIZ), ნორვეგიის განათლებისა და კვლევის სამინისტროსთან და „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი საქართველოსთან“ (MCA - GEORGIA).

2. ორგანიზაციის სუსტი მხარე:

მასწავლებლების არასაკმარისი მოტივაცია

დღეის მდგომარეობით მასწავლებლების საათობრივი ანაზღაურება არ იძლევა იმის საშუალებას, რომ კოლეჯში მოხდეს მაღალი რანგის პროფესიონალების მასწავლებლად მოწვევა თანამედროვე წარმოებაში მიღებული მუშაობის გამოცდილებით.

მასწავლებელთა ასაკი

კოლეჯის 59 მასწავლებლიდან საკენსიო ასაკი აქვს 19 მასწავლებელს.

სტუდენტური საერთო საცხოვრებელი

კოლეჯის სტუდენტების ძირითად ნაწილს (დაახლოებით 35-40%), ინჟინერიის მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამებზე (რაც კოლეჯის ძირითადი მიმართულებაა) წარმოადგენენ რაიონების მაცხოვრებლები, რომელთა უმეტესობის სოციალური მდგომარეობა არ იძლევა საშუალებას საკუთარი სახსრებით მოახდინონ ბინის ქირის გადახდა, შესაბამისად რთულდება სწავლა/სწავლებაზე მათი ხელმისაწვდომობა.

3. შესაძლებლობები:

მზარდი მოთხოვნა სამშენებლო სფეროში

რადგან სამშენებლო სფერო ქვეყანაში დინამიურად განვითარებად სეგმენტს წარმოადგენს, ამ სფეროში ყოველწლიურად იზრდება სამუშაო ადგილები და მოთხოვნა კვალიფიციურ კადრებზე, ისევე როგორც იკვეთება მოთხოვნა ახალ პროფესიებზე, რაც შესაძლებლობას აძლევს კოლეჯს, გაამრავალფეროვნოს სერვისი.

სახელმწიფო მხარდაჭერა და პოლიტიკა

მიმდინარე სახელმწიფო პოლიტიკა პროფესიული განათლების მიმართულებით მნიშვნელოვნად ზრდის კოლეჯის შანსებს, მოიპოვოს სახელმწიფო მხარდაჭერა განვითარების სტრატეგიული პროექტებისათვის, სერვისის ხარისხის გაუმჯობესებისა და სერვისის დივერსიფიკაციის მიმართულებით.

დონორი ორგანიზაციების ინტერესი

ქვეყანაში არსებობს პროფესიული განათლების განვითარების მხარდაჭერის ინტერესი საერთაშორისო დონორთა მხრიდან. კოლეჯს გააჩნია საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის მრავალწლიანი გამოცდილება, შესაბამისად გეგმავს საერთაშორისო გამოცდილების ინტეგრირებისა და საერთაშორისო კონტაქტების გაძლიერებით კიდევ უფრო ეფექტურად გამოიყენოს საერთაშორისო დონორების მხარდაჭერა.

დამსაქმებელთა ინტერესი

დამსაქმებელთა მოტივაცია, ითანამშრომლონ პროფესიულ სასწავლებლებთან. დამსაქმებელთან თანამშრომლობა, ერთის მხრივ, მნიშვნელოვანია პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის საქმეში და, მეორეს მხრივ, კურსდამთავრებულთა და სტუდენტთა დასაქმების მაჩვენებლების გაზრდისათვის. ორივე მიმართულებით თანამშრომლობა, საბოლოო ჯამში, ხელს შეუწყობს კოლეჯის, როგორც სამშენებლო სფეროში ლიდერი საგანმანათლებლო დაწესებულების იმიჯის განმტკიცებას.

4. რისკები

სამშენებლო სფეროში მაღალკვალიფიციურ კადრებზე მოთხოვნა

კოლეჯში დასაქმებული მასწავლებლების ნაწილი, ამავე დროს, მაღალკვალიფიციური პრაქტიკოსები არიან საკუთარ სპეციალობებში. ბაზარზე მოთხოვნის ზრდასთან და სამშენებლო სფეროში პრაქტიკოსთა ანაზღაურების ზოგად ზრდასთან ერთად იზრდება ამგვარი მასწავლებლების გადინების საშიშროება.

დაინტერესებული სტუდენტების კონტიგენტი და მოტივაცია

ინჟინერიის მიმართულების პროგრამებზე კლებულობს მოთხოვნა სტუდენტთა მხრიდან, ამის ერთ-ერთი მიზეზია არასათანადოდ გაწეული პროფორიენტაცია, ასევე შრომის ინსპექციის შესახებ შესაბამისი კანონის ხარვეზები, რაც ზოგიერთ არაკეთილსინდისიერ დამსაქმებლს უბიძგებს არ მოახდინოს ახალკურსდამთავრებულების შრომის სათანადოდ ანაზღაურება, რაც ახალკურსდამთავრებულების მოტივაციის დაკარგვის მიზეზია ხდება.

საგანმანათლებლო ჩიხი

პროფესიული განათლების საგანმანათლებლო ჩიხური მდგომარეობა მნიშვნელოვნად ამცირებს განათლების ამ სფეროს პრესტიჟსა და სფეროთი დაინტერესებული ბენეფიციარების რაოდენობას.

პროფესიული განათლების კვალიფიციური მასწავლებლების ნაკლებობა

არ არსებოს პროფესიული განათლების მასწავლებლების, მათ შორის საწარმოო პრაქტიკის მასწავლებლების, როგორც მომზადების, ასევე (საწარმოებში თუ სხვაგან) შემდგომი გადამზადებისა და კვალიფიკაციის განმსაზღვრელი ერთიანი სისტემა, რაც საშუალებას მოგვცემდა კოლეჯში მოგვეზიდა ახალი კადრები.

პროფესიულ განათლებაში ჩართული კომპანიების მოტივაცია

პროფესიულ განათლებაში ჩართული კომპანიებისათვის და დამსაქმებლისათვის, ასევე მათთვის, ვინც შესაძლებელია, შემდგომში ჩაერთოს განათლების ამ სეგმენტში, არასაკმარისი მოტივაცია მნიშვნელოვნად ამცირებს შანსს, აქტიურად ჩაერთონ პროფესიული განათლების სისტემაში და ხელი შეუწყონ განათლების ამ სეგმენტის სწორ განვითარებას.

პროფესიული სტუდენტების სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევა

სწავლის მიმდინარეობისას პროფესიული სტუდენტების სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევა იწვევს მათი ძირითადი ნაწილისათვის მოტივაციის დაკარგვას და, როგორც წესი, სამხედრო სავალდებულო სამსახურის დასრულების შემდგომ ისინი სწავლას აღარ აგრძელებენ.